# საქართველოს კანონი

## პატიმრობის კოდექსში ცვლილების შეტანის შესახებ

**მუხლი 1**. პატიმრობის კოდექსში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე, №12, 24.03.2010, მუხ. 49) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. 46-ე მუხლის მე-4 ნაწილს დაემატოს შემდეგი შინაარსის „თ$^1$“ ქვეპუნქტი:

„თ$^1$) საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191$^1$ მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, თუ მოსამართლის განჩინებით სამსახურის გენერალურ დირექტორს დაევალება შესაბამისი მსჯავრდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება და ამ ღონისძიების გამოყენება აუცილებელია მსჯავრდებულის უსაფრთხოებისათვის;“.

2. 76-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 1$^1$ ნაწილი:

„1$^1$. საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 191$^1$ მუხლით გათვალისწინებული გარემოებების არსებობისას, თუ მოსამართლის განჩინებით სამსახურის გენერალურ დირექტორს დაევალება შესაბამისი ბრალდებულის უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი განსაკუთრებული ზომების მიღება, აღნიშნული ბრალდებულის პატიმრობის სხვა დაწესებულებაში გადაყვანის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს სამსახურის გენერალური დირექტორი, თუ ამ ღონისძიების გამოყენება აუცილებელია ბრალდებულის უსაფრთხოებისათვის.“.

**მუხლი 2.** ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 ივლისიდან.

*საქართველოს 2018 წლის 27 დეკემბრის კანონი №4252 – ვებგვერდი, 29.12.2018წ.*

**საქართველოს პრეზიდენტი** **გიორგი მარგველაშვილი**

**ქუთაისი,**

**21 ივლისი 2018 წ.**

**N3278-რს**